ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 227
1877

ივერია

№ 227
1903

ოკდომბერი 25, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 25, შაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

გიორგი სიმონის ძე ივანოვი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 ოკდომბერს, დილის 10 საათზე, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასის მეუღლისა და უკანასკნელთა დედის

თეკლე ქრისტეფორეს ასულის ივანოვის

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მობრძანდნენ კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში.
(2—227—1)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემიძე.**

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სასწავლებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

არმოდგენა № 10. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 26 ოკდომბერს 1903 წ.,

მ. მ. საფაროვი—აბაშიძის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ხათაბალა

კომედია 5 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას იღებენ: მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა.

ბ-ნნი: კ. ყიფიანი, ლ. აწყურელი, ნ. გვარამძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ჰამლეტი“

რეჟისორი **აკაკი.**

ავლაბრის ახალი თეატრი. № 7.

უკანასკნელი წარმოდგენა

შაბათს, 25 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

დრამა 5 მოქ. და 6 სურათ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი: ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: ლ. აწყურელი, ლ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი ყიფიანი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 25 ოკდომბერს 1903 წ.,

კომპოზიტორის ჩაიკოვსკის სიკვდილის ათის წლის თავზე, მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, გამართული იქნება სამს განყოფილებისაგან

მუსიკალური საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: გალცევა, ლედინა, რენე-რადინა, ალმაევა, მელნიკოვა, ჩემესოვა, არციბაშევა, ჩიჟოვა, კარტავინა, კარრი, როდიონოვა, სელიუკი, კალინინა, პრიმო, ბალერინა, სკორუპსკაია, ფედოროვა, ბიანკო, ჟელატო; ბ-ნნი: დარსკი, რაისკი, სელიავინი, ფიგნერი, ილიუშენკო, ამირჯანი, გლადკოვი, ქვლახოვი, შმაკოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, ფედოროვი, გრინიევი, გავრილოვი, პერელდი, რუსანოვი, ვიტტიგი, ადლერი.

როიალზედ დამკვრელი გ. როზენბერგი.

კაპელმეისტერი ე. ლ. ესპოზიტო და ი. ა. პოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი. კვირას, 26 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქნება, მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, „ევგენი ონეგინი“, ოპერა 3 მოქ. 5 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აკეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასაჟსა, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

❀ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ საპრემიოდ მიიღო ოც-დაერთი პიესა (და არა 17, როგორც „ცნ. ფურცელში“ იყო ნათქვამი). გამგეობის წევრნი უკვე შეუდგნენ პიესების კითხვას.

❀ გუშინ, პარასკევს, დილით გაემგზავრნენ ქუთაისს ზოგიერთი არტისტები წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად. აგრეთვე წავიდა გამგეობის ორი წევრი იქაურ წარმოდგენების საადმინისტრაციო საქმეების მოსაწყობად. ადგილობრივ მცხოვრებთაგან აირჩევენ სამს კაცს, რომ შეადგინონ ტფილისის გამგეობის ფილიალური განყოფილება, რომელსაც დაევალება ქუთაისის თეატრის საქმის წარმოება ამ სეზონში. ფოთშიაც აგრეთვე ორს კაცს აირჩევენ და ორნი კიდევ ქუთაისის განყოფილების დამხმარენი იქნებიან ფოთში წარმოდგენების გამართვის დროს. ასე რომ ქართ. დრ. საზოგადოების გამგეობის ასპარეზი ძალიან გაფართოვდა. დიდი შრომა და ჯაფაა საჭირო, რომ საზოგადოების კომიტეტი და განყოფილება ამ პასუხსაგებ საქმეს აუვიდეს და კეთილად წარმართოს.

❀ ქართულ თეატრში 15 დეკემბრიდან წარმოდგენებს გამართავს განთქმული ნემეცური საოპერეტო დასი შულცისა.

❀ ახლად გამწესებული კავკასიის მუზეის დირექტორად გვარდიის როტმისტრი კაზნაკოვი ტფილისს ჩამოვიდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

❀ ამ ახლო ხანში კავკასიის საშუალო სასწავლებელთა დირექტორების კრება იქნება ტფილისში. კრებამ უნდა საერთო ღონისძიება შეიმუშაოს მოსწავლეთა თვალ-ყურის დევნისა, როგორც სასწავლებელში, ისე მის გარეშე.

❀ საიმპერატორო მუსიკალურ საზოგადოების ტფილისის განყოფილებას წარსული საანგარიშო წელს (1 სეკდემბრამდე 1903 წლისა) ჰყოლია საპატიო წევრი 6, სამუდამო 4 და ნამდვილი—20. შემოწირულება მიუღია სტეფანე და იაკობ კონსტანტინეს ძეთა ზუბალაშვილთაგან—9,000 მანათი და კ. მ. ალიხანოვისაგან—16,000 მანათი. დირექცია განყოფილებისა სთხოვდა საიმპერატორო საზოგადოებას 25,000 მანათის დახმარებას, მაგრამ მისი თხოვნა შეწყნარებულ არ იქმნა.

❀ ტფილისის სახაზინო პალატა აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიისა და ზაქათლის ოლქის სასოფლო მამულზე გაწერილ გარდასახადის შესახებ მამულთა პატრონებისაგან მიიღება შენიშვნები 1 ნოემბრამდე.

❀ ცნობილი არქეოლოგი ბარონ დე-ბაი უკვე დაბრუნდა ტფილისში. ბ-ნ დე-ბაიმ აფხაზეთი მოიარა. სოხუმის გარდა დაუთვალიერებია დიდებული ტაძარი დრანდისა, ფსირცხის მონასტერი, გუდაუთა, იქიდან გაუვლია შუაგულ აფხაზეთზე გაგრამდე, ანუ აფხაზეთის საზღვრამდე. ბარონ დე-ბაის შეუკრებია აფხაზთა შესახებ საეტნოგრაფიო მასალა და ამასთან მრავალი ფოტოგრაფიული სურათი გადაუღია აფხაზებისა. ბარონ დე-ბაი ტფილისში ერთ კვირას დარჩება და მერე საფრანგეთს გაემგზავრება.

❀ ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანხმად, გუშინ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას სია იმ მოხელეებისა, რომელნიც მსახურებენ სამკურნალო, საბჟითალო, სასანიტარო და საფარმაცევტო ნაწილში. ამ მოხელეებს ამას წინად კრება ჰქონდათ. კრებამ სასურველად იცნო—გამგეობამ შუამდგომლობა აღძრას, რომ იმათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთ.

❀ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულომ გუშინ, 23 ოკდომბერს, დაამთავრა შემოწმება და გაზომვა იმ ყმაწვილ კაცებისა, რომელნიც წელს ჯარში უნდა გაიყვანონ. დაბარებული იყო 660 კაცი, გაიყვანეს 159 კაცი. ახლად გაწვეულთ დაცფიცებენ 29 ოკდომბერს, ხოლო 6 ნოემბერს ჯარში ჩარიცხავენ. აქამომდე არ გამოცხადებულა კენჭის ამოსაღებად და ჯანმრთელობის შესამოწმებლად 53 ახილგაზდა, რომელთა სიაც პოლიციას გარდაეცა მათ მოსაძებნელად.

❀ სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობის ოთხსართულიანი კედლები ცალ მხარეს თითქმის დასრულდა და ამ დღეებში ჰერის დახურვას შეუდგებიან.

❀ ქალაქის გამგეობა ავალებს ახალ შენობათა პატრონებს ქუჩის ნაწილი შეღობონ და ფეხით მოსიარულეთათვის დროებითი ტროტუარი გააკეთონ. ამ შემთხვევაში სახლის პატრონებს გარდასახადი ერთმევათ ქალაქის სასარგებლოდ იმის კვალობაზე, რა ადგილიც იქმნება შემოღობილი. ეს განკარგულება მტკიცედ არა სრულდება, მეტადრე მაშინ, როცა მდიდარი მამულის პატრონები აშენებენ სახლებს. მაგალითად, ვორონცოვის ძეგლიდგან ავჭალის ქუჩისკენ რომ მიდიხართ, ელისაბედის ქუჩის კუთხეში დიდი სახლი შენდება და მთლად მასალა—ქვა, ქვიშა, აგური სულ ქუჩაში ყრია, შემოუღობავ ადგილზე. აქ ამ ჟამად დიდი მოძრაობაა, რადგან ავჭალისა და ნიკოლოზის ქუჩებზე ქვა-ფენილი კეთდება და ქუჩის ნაწილი სწორედ ამ ადგილის ახლო შეკრულია. ეტლები დღისითაც გზას ვერ უქცევენ ერთმანეთს და ღამე ხომ ეტლებიცა და ხალხიც შენობის მასალის ზედ აწყდებიან. საჭიროა, მალე მიაქციონ ამ ადგილს ყურადღება.

❀ რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნი: **„Кустарная промышленность на Кавказѣ“**, რომელშიაც ცნობებია დაბეჭდილი ხალიჩების ქსოვის შესახებ ქართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქვეყანაში, ერევნის გუბერნიის სურმალინისა, ეჩმიაძინისა და გუმბრის მაზრებში. წიგნში რავდენიმე სურათიც არის—ნიმუშები იქაურ ხალიჩებისა. ფასი წიგნისა 1 მანათია.

„ვეფხის ტყაოსნის" სამწერლო კრიტიკის გამო.

შოთა რუსთველის თავ-გადასავალზედ არა ნაკლებად საინტერესოა ის თავ-გადასავალი, რომელიც ჰქონია მის უკვდავ თხზულებას—„ვეფხის-ტყაოსანს". ჯერ იყო და დამწერის სიცოცხლეშივე თურმე დიდი ბრძოლა გამოუცხადებია მაშინდელ სამღვდელოებას ვეფხის-ტყაოსნისთვის და, ასე გასინჯეთ, კიდეც დაუწვავთ, რადგანაც რჯულის და ზნეობის წინააღმდეგ ნაწარმოებად მიაჩნდათ. მერე იყო და, ვახტანგ VI რჯულ მდებელმა, პირიქით, რჯულისა და ზნეობის საუნჯედ გამოაცხადა ტარიელისა და ნესტან დარეჯნის მიჯნურობის ამბავი და სადვთო წერილსავით განმარტება დაუწყო, თუმცა მის უზნეურობაზე აზრი ვერ გამოაცვლევინა სამღვდელოებას, რადგანაც მაგალითად მთავარ ეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს, XVIII საუკუნის მაკურთხეველს, რომელსაც წმინდა ადგილები მოუვლია, ვეფხის-ტყაოსანი ქართველ ქალთა საცდურად დაწერილი ეგონა. თუმცა ასე იყო, ვეფხის-ტყაოსანი მაინც ვრცელდებოდა, როგორც მაღალ საპოეტიკო ნაწარმოები, როგორც ყოველ ქართველისათვის გულის პასუხის გამცემი. მეცხრამეტე საუკუნიდგან-კი ამას აღარ დაჯერდნენ ვეფხის-ტყაოსნის გამმარტებელნი და შეთხზეს ახალი ჰიპოთეზი, ვითომც ვეფხის-ტყაოსნის გმირების სამშობლო საქართველო ყოფილიყოს და თვითონ გმირები-კი ქართველები. მით უმეტეს გაბედული გამოდგა ეს ჰიპოთეზი, რომ მანამდე არავის ქართველებად არ მიეღო ავთანდილ, ტარიელ და სხვა გმირები შოთა რუსთველისა და არც საქართველოდ მათი სამშობლო ქვეყნები; ამას საქმითაც-კი ამტკიცებდნენ, როცა ახატვინებდნენ ვეფხის ტყაოსანს, რომლის სურათები მოგვაგონებენ უფრო ვისრამიანის სურათებს არა ქართულ გმირებისას. პირველად ვინ ისახელა თავი ვეფხის ტყაოსნის გმირების ქართველებად და მათ სამშობლოს საქართველოდ გამოცხადებით, ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ მას აქეთ-კი, რაც განსვენებულმა პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა გამოსცა ვეფხის-ტყაოსანი თავის წინასიტყვაობით, ახალმა საკრიტიკო ჰიპოტეზმა მეტად მოხიბლა ქართული მწერლობა. როგორც მოგეხსენებათ, დავით ჩუბინაშვილი თავის წინასიტყვაობაში ვეფხის-ტყაოსანს თამარ მეფის ცხოვრების სარკედ სახავს და შედარებაც-კი მოჰყავს პოემის გმირებისა და პოეტის თანამედროვე გვირგვინოსანთა შორის. ამ ჰიპოთეზის დაგვირგვინებათ-კი უნდა მივ ღოთ განსვენებულ გიორგი ქართველიშვილის მიერ ვეფხის-ტყაოსნის გამოცემა ნახატებითა, რომელიც დაახატვინეს კარის მხატვარ ზიჩსა. აგრეთვე ზედ მოყოლებული სამწერლო კრიტიკა, რომელიც საჯარო ლექციებადაც-კი იყო თქმული. ვინ იყო მოთავე იმ კომისიისა, რომელმაც ზიჩის ჩააგონა პოემის ზოგიერთი გმირი ქართულად ჩაცმული დახატეო და ან რა სიმართლე და ავტორიტეტი მიუძღვოდათ წინ, არაფერი ვიცით, როგორც არაფერი ვიცით აგრეთვე იმისი, თუ რად ჰგონიათ ზოგიერთ ჩვენს მწერლებს რომ ავთანდილი იმერელი და ტარიელი ქართლელია. თავიდანვე შავბედად თან დაჰყვა ვეფხის-ტყაოსნის შესწავლას სუბიექტივიზმი, რომლისგანაც დღესაც ვერ განთავისუფლებულა.

ვეფხის-ტყაოსანი უნდა განვიხილოთ ისე, როგორც ის არის დაწერილი. თავისთავად კი იგი წარმოადგენს არაბეთს, ინდოეთს, ჩინეთს, სპარსეთს და სხვა ქვეყნებს, სადაც შობილან, დაზრდილან ავთანდილ, ტარიელ და სხვა გმირები. უეჭველია, შოთა რუსთაველი თავის გმირების ხასიათებს მხოლოდ საქართველოში თუ მონახავდა და განავითარებდა ისე, როგორც მისი იდეალი მოითხოვდა, მაგრამ ეს გარემოება ნებას როდი გვაძლევს, ავთანდილ იმერლად და ტარიელ ქართლელად ჩავთვალოთ და ჩვენებურად მოვრთოთ. შექსპირის დრამების შინაარსი უცხო ქვეყნის ისტორიიდან არის აღებული, მაგრამ რომელი კრიტიკოსი გაბედავს, რომ ინგლისელად ჩასთვალოს ის გმირები, ან ინგლისურად მორთული გამოიყვანოს სცენაზე სამოქმედებლად. ჩვენ-კი სწორედ ასე ვიქცევით. ვეფხის-ტყაოსანი წარმოადგენს აზიის ერთა თქმულების დიდ კრებულს, როგორც ფირდუსის «როსტომიანი» ირანისას და მით უმეტეს ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ასეთის დიდის ქვეყნის სხვა-და-სხვა თქმულება ანუ ამბავი, სადაც არიელთა, სემიტთა და მუღალთა ერნი ერთმანეთის მიმართ მოქმედებდნენ და რომელიც, შესაძლებელია, საქართველოშიაც ყოფილიყო გავრცელებული, ქართველის კალამს შეუკრებია, თუ გინდ სპარსულის თარგმნის სარგებლობითაც და შეუწევია ვით მარგალიტი. ამით ქართველთა ერის გონებას დიდება, ხოლო ქართულ მწერლობას ძალი და მნიშვნელობა ემატება და ჩვენ-კი გვგონია, რამე დააკლდეს და, პირიქით შეემატოს, თუ ქართულად მოვრთეთ ავთანდილ, ტარიელ, აინათინ და ნესტან დარეჯანი.

მით უმეტეს არ ივარგებს და ხელოვნებასაც დავამცირებთ, თუ ვეფხის ტყაოსნის საკრიტიკო ჰიპოთეზი სცენაზე გადავიტანეთ და იქაც გმირები ქართულად დავრთეთ და ვამღერეთ ქართულის მუსიკით. ბ-ნმა მეინვარმა ამას წინად დაწერა რუსულად ვეფხის ტყაოსნის შინაარსი ლიბრეტოდ, რომლის მუსიკა თურმე მიუნდვია ერთის რუსის კომპოზიტორისთვის. ჩვენის აზრით, ვეფხის-ტყაოსნის ოპერისთვის ქართული მუსიკა ისევე უადგილო უნდა იყოს, როგორც მის გმირთა ქართველებად მიღება, მაშასადამე, დაფუძნებული მარტოოდენ სუბიექტივიზმზე, როგორც თვითონ პოემის სამწერლო კრიტიკა.

კლდია.

კიდევ დიმიტრი მაჩხანელის გარდაცვალების გამო.

როგორც მოგეხსენებათ, 16-ს ოკდომბერს უეცრად გარდაიცვალა წვეთის დაცემით ჩვენი მამულიშვილი და მწერალი დიმიტრი მაჩხანელი. გავარდა თუ არა ხმა დიმიტრის სიკვდილისა, მთელი შეგნებული ნაწილი ქიზიყის საზოგადოებისა შეძრწუნდა—დაენანათ ასე უდროოდ მისი დაკარგვა. დიმიტრი ჯერ ორმოცდა ორის წლისა იყო (დაიბ. 1861 წ. იანვ. 1), უცოლშვილო და ამ შემოდგომაზე აპირებდა ცოლის შერთვას..

ბევრი, ბევრი აღუსრულებელი სურვილი, იმედები, ჩაჰყვა საბრალოს საფლავში. რა იცოდა, თუ ულმობელი სიკვდილი ასე უჩინრად, ქურდულად მოეპარებოდა, რომ დიმიტრი ანდერძის თქმასაც ვერ მოასწრებდა.

დიმიტრის სიღარიბეში ამოჰხდა სული, მაგრამ იმის ფიქრი სულ ის იყო, „რაც რამ გამაჩნია დამაბადია, სულ საზოგადო, საქვეყნო საქმეს უნდა შევსწიროვო".

დაჰრჩა დიმიტრის მდიდარი წიგნთ-საცავი, რომლიდანაც მთელის ქიზიყის ინტელიგენცია სარგებლობდა.

ამ ოთხის წლის წინად თავისის თაოსნობით დააარსა სამრევლო სკოლა და შესწირა იმ სკოლას ქვითკირის შენობა ეზოთი.

რაც შეეხება იმის მოღვაწეობას სამწერლო ასპარეზზე, ეს კარგად უწყის მკითხველმა საზოგადოებამ. ისიც კარგად მოეხსენებათ, თუ რამდენი ჰირი და ვარამი გამოიარა დიმიტრიმ ქიზიყის სავაჭრო ამხანაგობის „დეპოს" დაარსებაზე და რამდენი ცეცხლი და გენია გააცდევინეს. იქნება იმისმა ბოლმამაც მოუღო ბოლო...

დიმიტრის დაკრძალვა 19 ოკდომბრისათვის იყო დანიშნული. ამ დღეს დიმიტრის ბუნებამაც ხელი შეუწყო. მშვენიერი, თბილი, ბრწყინვალე ამინდი იდგა. მთელის სიღნაღის მაზრიდგან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დიმიტრის ორ-სართულიანი სახლის ეზო და კარ-ბიდამო გაჭედილი იყო პატივის-მცემლებით. სანამ ეკკლესიაში გაასვენებდნენ, ფოტოგრაფმა სურათი აიღო კუბოში მწოლარე დიმიტრისა. საათის ათზე მთელის ქიზიყის სამღვდელოებამაც თავი მოიყარა და გასვენების თადარიგს შეუდგნენ.

მრავალი გვირგვინი ამკობდა დიმიტრის კუბოს; მათ შორის სიღნაღის ქართველობისაგან, დიმიტრის ძმის ვასილ ნადირაძისაგან, სიძეების: მღ. იოსებ ტუკუშვილისა და მღ. ფილიმონ კარბელაშვილისაგან, ძმისწულის ალ. ნადირაძისაგან, ცოცხალის ყვავილებისაგან შეთხზული გვირგვინები მისგან დაარსებულ სამრევლო სკოლის მოწაფეთა და სხვათაგან..

საყდრამდის გვირგვინები მოწაფეებს მიჰქონდათ. მიცვალებული სამების ეკკლესიაში მიასვენეს, რომლის ეზოშიაც აპირებენ დიმიტრის დასაფლავებას, მისგან დაარსებულ დეპოსა და ქსენონის მახლობლად. „განიცადეზე" მღ. ფილიმონ კარბელაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა.

წირვის გამოსვლის შემდეგ კუბო ეკკლესიის ეზოში გამოასვენეს ანდერძის ასაგებად. ანდერძის დაწყებამდის მრავალი სიტყვა წარმოითქვა. პირველად გამოსათხოვარის სიტყვით მიჰმართა დიმიტრის ცხედარს თვალცრემლიანმა იმის ძმის სიძემ მღ. იოსებ მირიანაშვილმა მერე რიგზე წარმოსთქვეს სიტყვები: მღ. კირილე ღვთისავარიშვილმა, მღ. დიმიტრი ჯანაშვილმა, მღ. დავით იაშვილმა, მღ. ეგნატე მენთეშაშვილმა და მღ. კონდრატე ნინიკაშვილმა. ბოლოს ივანე შავლიაშვილმა მიჰმართა დიმიტრის ცხედარს და სთხოვა საზოგადოების მხრივ: ,,გვაპატიე, დიმიტრი, თუ რამე გაწყენინეთ და ვერ დაგაფასეთო". ანდერძის აგების შემდეგ კუბო ეკკლესიაშივე შეასვენეს, რადგანაც გუბერნატორისაგან დასაფლავების ნება-როვას ელიან.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ხალხისათვის მოჰირნახულევ დიმიტრი! თუმცა უდროვოდ მოგვშორდი, მაინც, რაც ხანს იცოცხლე, იმდენი გააკეთე ქართველობისათვის, რომ შენი სახელი უკვდავი იქნება ყველასათვის. აკი ქიზიყელებიც მიჰხვდნენ ახლა, რომ მათთვის გულშემატკივარი, თავდადებული მეპატრონე დაჰკარგეს.

მეგობარი.

სიტყვა მღ. ფილიმონ კარბელაშვილისა.

1903 წ. 19 ოკდომბერი.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

> ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგეღის შენ (წარდგ.).

ადგილი განსასვენებელი მოგეღის შენ... რას გაჩუმებულხარ, მაჩხანელო, რატომ არაფერს ამბობ? რატომ შენებურად რიხიანად არ აღიმაღლებ ხმას: „რა დროს განსვენებაა, ჯერ საქმე ბევრი მაქვს გასაკეთებელი"-ო და სხ. დიაღ, შენ-კი აგრე იტყოდი, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა რომ აღარ დაგაცალა?! რომ შეგეძლოს ეხლა, იტყოდი: „რა გავაკეთე საიმისო, რა ღირსეული მე ვიყავი, რომ ნეტარებას უგზავნით იმ გზასაც-კი, რომელზედაც მე გავიარე და განსვენებასა მპირდებით!... განსვენება ცოტა რამე ნუ გგონიათ: განსვენება იმათი შეჰფერის, ვინც ბევრი, ძალიან ბევრი რამ გააკეთა და იშრომა....

არა, დიმიტრი, არა; ეს შეცდომა იქნება—და შეცდომა, წარმომდგარი იმისაგან-კი არა, რომ შენ შენის თავის ფასი არ იცოდი, არამედ შედეგი ბუნებრივის შენის თავმდაბლობისა—იმ თავმდაბლობისა, რომელიც შენ ცხოვრების ქვა-კუთხედათ მიგაჩნდა ჯერ შენთვის და მერე ყველასათვის...

შენ ბევრი გააკეთე, ბევრი, ძალიან ბევრი იშრომე და უფრო ბევრს იშრომებდი და გააკეთებდი, რომ ულმობელ სიკვდილს შენთვის ბოლო არ მოეღო ასე უდროოდ. მე არ ძალმიძს დაწვრილებით ჩამოვთვალო ყველა ის მისწრაფებანი, ყველა ის დაწყებანი—ანუ დაუმთავრებელი საქმენი, რომელნიც შენ აღსრულებაში ვერ მოიყვანე უდროობისა და მოუცლელობის გამო... მრწამს და ვაღვიარებ მხოლოდ იმას, რომ ყოველი შენი ნაწერი, ანუ ნალაპარაკევი ხალხში საზოგადოდ და მეგობრებ-ნაცნობებში კერძოდ—ჭეშმარიტება იყო,—ის ჭეშმარიტება და რწმენა, რომელზედაც იესო ქრისტე ამბობს: „ამინ, ამინ, გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყვანი ჩემნი ისმინნეს და რწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო" (იოან. 5 თ.). ვიმეორებ, ყოველი შენი ნაწერი და სიტყვიერად გამოთქმული აზრები იყო ისევ ის მოძღვრება ხალხისადმი, რომელსაც იესო ქრისტემ შეალია თვისი კაცობრივი ძალა.

მაშასადამე, შენა ჰყოფილხარ ჭეშმარიტების მქადაგებელი, შენ გიკეთებია ბევრი რამ და ამიტომ ღირსეულად დაგიმსახურებია განსვენება და საუკუნო ცხოვრება. „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგეღის შენ".

ცხოვრებისაგან ყოველმხრივ დაჩაგრული, ქონებრივად დაქვეითებული და სიამოვნებას მოკლებული, შენ არ ემდუროდი შენს ხვედრს, არამედ მამაცურად ითმენდი ყოველსავე და მამაცურადვე მიაღწევდი ხოლმე შენს ამა თუ იმ გულის წადილს...

ყოველი შენი მეზობელი და ნაცნობი, თუ გაითვალისწინებს შენს ხელმოკლე ცხოვრებას,—დარწმუნდება, რომ შენი ბედ-იღბალი მარტო მამაცობას და ცხოვრებისადმი გულმედგრობას გაჰქონდ-გამოჰქონდა!.. მამაცობა არ არის, კაცმა მოიკლოს ისეთი ბედნიერება, როგორც, მაგ. ცოლშვილიანობა, მარტო იმ მოსაზრებით, რომ „ვაი თუ ცოლშვილმა ხელი შემიშალოს და ის ვეღარ გავაკეთო, რის გაკეთებაც შემიძლიან და რისაც ზნეობრივ მოვალე ვარო'!

მრთელი ქიზიყი და ამასთან მრთელი საქართველო გიცნობდა. მხოლოდ გიცნობდა ქეიფში და ლხინში-კი არა,—გიცნობდა ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით. და ეს საშუალება, ეს ბეჭდვითი სიტყვა იმ გვარია, რომ სულ მცირე ხანში ავსა თუ კარგს მთელს ქვეყანას შეატყობინებს. გიცნობდნენ შენი თანამემამულეები და მეზობლები, როგორც წყნარს, მშვიდს, უწყინარს და ყველასათვის კეთილის მოსურნე დიმიტრის, მაგრამ, როგორც მრავალი ჩვენი მოღვაწე მუშაკი არ ასცდენია უბადრუკს და შეუფერებელს ბოლოს, აკი შენც ვერ ასცდი ასე უდროოდ ულმობელს სიკვდილს, რომელმაც ასე სწრაფად მოგიღო ბოლო...

გული სიამოვნებით მევსება, როდესაც გავიხსენებ, რომ ჩემ წინ ასვენია გვამი იმ ღირსეულის ადამიანისა, რომელმაც ეს დიდებული სახელი „ადამიანი" ღირსეულადვე ატარა, ბევრი ჩვენგანი ადამიანად აქცია და მათთან ერთად ზოგჯერ მარტოკამაც ბევრი რამ კარგი გააკეთა... მაგრამ რა ვქნა, საყვარელო და დაუვიწყარო ძმაო დიმიტრი, გამოგიტყდები—ყოველს ღონისძიებასა ვხმარობ და ვერ მომიხერხებია, რომ ამ გვარი შეხედულება ბორკილად დავადვა ჩემს თავსა: გადავხედავ თუ არა შენს მოხუცებულს მშობელ დედას, შენს დაძმარებულს დას, ძმას და სხვა ნათესავებს, როგორც ხორციელ არსებას, გული ნაღვლით მევსება. წეღანდელი სიამოვნება მავიწყდება და ეხლანდელი

ფელეტონი

ვაგონით

(ქართლელი და იმერელი).

თქვენი რა მოგახსენოთ და მე-კი მგონია, რომ ქართლელისთანა გარედ გაუსვლელი და შინ ჩაკეტილი სხვა აღარავინ მოიპოვება. თითქო დაკუტებულაო, ჰზის თავის სოფელში და ისე ჰლევს დღესა და სიცოცხლესა. ბევრი ვიცი იმისთანა მოხუცებული გლეხი, რომელსაც,—აბა გორი რა არის, ისიც-კი არ უნახავს, თორემ დედა ქალაქს ვინღა სჩივის. ბუნება და ზნე არის მიზეზი, თუ სხვა რამეც—არ ვიცი, მაგრამ ნამდვილი-კია, რომ ქართლელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად მოკლებულია გეოგრაფიულ ცნობის მოყვარეობას. თავისის კერისას და სოფლის გარეშე იმას არა აღარდებს-რა და არა ანაღვლებს-რა. იმისთვის სულ ერთია, რაც უნდა მოხდეს ქვეყნიერებაზედ, ოღონდ-კი თითონ მოსვენებით იყვეს... მართალია, ძველად ქართლელი ხშირად სამშობლოს თავს ანებებდა და უცხოეთში იმყოფებოდა, მაგრამ ეს ძალა-უნებურად ჰხდებოდა. თუ რაიმე დიდი გაჭირვება არ დაადგებოდა, ძნელად თუ ქართლელი ფეხს გასდგამდა თავისის სოფლიდან. ასე ყოფილა და ასე დარჩება ქართლელი, ვიდრე მისი ცხოვრება არ შეიცვლება და მისი გონებისა და გრძნობის ფარგალი არ გაფართოვდება!..

უბირო კაცი რა გასაკიცხი და გასამტყუნარია, როცა თვით ქართლელ ინტელიგენციასაც-კი შინ მოუკეცნია და გარედ არ გადის, თათქო ჯდომი შეჰყრიაო. რამდენსა სწერდნენ—ჩვენმა ინტელიგენციამ ექსკურსიები—უნდა დამართოს, სამშობლო გაიცნოს, იმოგზაუროს, თავისის ხალხის ეთნოგრაფია და გეოგრაფია შეისწავლოსო და სხვა; მობრძანდება რუსეთიდგან ჩვენი ახალგაზდა ზაფხულობით და თავის სოფელში ჩაიკეტება, თუ არა და, ჩავა ტფილისში და უგზო-უკვლოდ დახეტიალებს ქუჩებში. რა ექსკურსია, რა მოგზაურობა! მიზეზიც ეს არის, რომ უცხოელმა და გარედგან მოსულმა უფრო მეტი იცის ქართლისა, ვიდრე ქართლელმა ინტელიგენტმა. ეს უმეცრება იქამდე მიდის, რომ ბევრი ქართლელი ინტელიგენტი ქართლის სამზღვრებსაც-კი ვერ ჩამოგითვლის. ახლო-მახლო მდებარე თემებისა ხომ რაღა მოგახსენოთ: დიდ ღვთის წყალობად უნდა ჩაითვალოს, თუ ქართლელ მოსწავლე ახალგაზდას მოეხსენება, სად მდებარეობს, მაგალითებრ, ხევი, გუდამაყარი, ხევსურეთი და სხვა... უმრავლესობისთვის სამშობლო დღევანდელამდე უცნობს გეოგრაფიულ ტერმინს წარმოადგენს. არა ვგევართ დალოცვილ ევროპიელებს! იქ მოსწავლე ახალგაზდა, გაათავებს თუ არა სწავლას და თავისუფალ დროს ხელში ჩაიგდებს, მაშინვე სამოგზაუროდ მიეშურება. რასაკვირველია, ჯერ სამშობლოს თავიდან ბოლომდე ნახავს და გაიცნობს და მერე უცხოეთში მირბის. ძნელად თუ იპოვება ისეთი ევროპიელი ინტელიგენტი, რომ თავისის სამშობლოს თითოეული კუთხე არ შემოევლოს და არ ენახოს. ამიტომაც თავისის ქვეყნის ავიცა და კარგიც ბეჯითად იცის, ამიტომაც შეგნებულად და ცნობიერად ემსახურება სამშობლოს. ჩვენში? აბა, ჩვენ რა აზრიანი, საქმიანი სამსახური შეგვიძლიან გავუწიოთ სამშობლოს, როცა ჩვენის ბედისა არა გაგვეგება-რა და ყოვლად უმეცარნი ვართ ყველაფერში, რაც საქართველოს შეეხება. ჩვენი დაქვეითება და უხეირობა იქამდე აღწევს, რომ ჯერაც სამშობლოს გეოგრაფია არ გვაბადია. მოდი ამის შემდეგ და ჯავრისა და ბოღმისაგან ნუ გასკდება გული!

დიაღ, საქართველოში ყველაზედ მეტად ტლანქი და უხალისოა ქართლელი და მისი უბედურებაც ამაშია. მაგრამ, აბა შეჰხედეთ და გასინჯეთ ამისი მოძმე იმერი. იმერი სულ სხვა თვისებისა და ბუნებისაა. უმთავრეს იმის ზნეს მოძრაობა და ცნობის მოყვარეობა შეადგენს. თუ ჩვენგანი ვინმე უცხოეთში დაიარება და იქ მოღვაწეობს და საქმიანობს, ისევ იმერელია. შორეულ აღმოსავლეთიდგან დაწყებული ევროპის კიდემდე იმერს შეხვდები. სიცოცხლითა და ენერგიით სავსე იმერი დაბრკოლებას არ უდრეკის, მთასა და ბარს ჰლახავს და ქვეყნიერებას სწავლობს. უცხოეთში მრეწველობს და ვაჭრობს, შუაგულ, მივარდნილ აზიაში, ხშირად შეხვდებით ამ ქურციკივით ფეხ-მარდს და მოხერხებულ ადამიანს და ამიტომ კიდეც ამბობენ,—ბევრმა მათგანმა დიდი სარჩო-საბადებელი და სიმდიდრე შეიძინაო. ღმერთმა ინებოს!.. ქართლელი-კი ისე მძიმე და ფეხგაუნძრავია, ღმერთი ციდგან რომ ქალას ჰყრიდეს, იქნება მაშინაც-კი სახლიდგან კარზედ გასვლა დაეზარის.

ამ დღეებში მე და ერთს ჩემს ნაცნობ სომეხს ქუთაისისკენ ერთად მოგვიხდა მოგზაურობა. ეს სომეხი, თუმცა ახალის ჯურის მამულიშვილია, ახლანდელი ასკასერია, მაგრამ მაინც მეზობლების „წმიდათა წმიდასაც" პატივით ეკიდება. მშვენიერი და მხიარული დილა იყო. ბუნება იღიმებოდა და კეკლუცობდა. თქვენი უმორჩილესი მონაც მეტად კარგ გუნებაზედ გახლდათ. განათლებულ და ჭკვიან კაცთან მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნოა, თუნდაც ასეთი თანამგზავრი სხვა ბანაკისა იყვეს. ჩემმა ნაცნობმა მალე ჩამოაგდო ბაასი ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულებაზედ, ბევრი იბაასა ამ ორთა მეზობელთა ურთიერთობის გამო და ერთი საყურადღებო აზრი დაასკვნა.

იცით, რა აზრი?—მომავალი არც ჩვენია და არც თქვენი, ამიერ ქართველებისა, მერმისი იმერლებს ეკუთვნის. ღმერთმაცა და ბედმაც მომავალი იმათ დაულოცაო!. თქვენ იქმნება პირველად გესმით ეს სასიამოვნო და ამასთანავე ახირებული აზრი, მაგრამ ჭკვიანი და განათლებული სომეხი-კი ამას ამტკიცებდა და თავისის აზრის დასამყარებლად საბუთი საბუთზედ მოჰყავდა. რასაკვირველია, მე სულგანაბული ვუსმენდი, მე მთლად სმენად გარდავიქეცი. ნაცნობმა თავისის აზრის დამტკიცება ტფილისის მაგალითებით დაიწყო და ნელნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ შორეულ აზიაში გადავიდა. ბოლოს დროს, ცხადზედ ცხადად აღმოჩნდა, რომ როცა-კი იმერელი და სომეხი ერთმანეთს შებრძოლებიან მრეწველობასა და ვაჭრობაში, პირველს მეორისთვის უჯობნია, რასაკვირველია, თუ თანასწორი იარაღი ჰქონია.. და ისეთს მაგალითებზედ მიმითითა, რომ მე განცვიფრებული დავრჩი! დიდი მოხერხება გამოიჩინეს ჩვენებმა „ტყუილ-კოტრიანცობაში", მაგრამ აქაც იმათ იმერლებმა აჯობეს და ამ რამდენისავე წლის წინად ორიოდე იმერელი ისე თვალთ მაქცურად და მარჯვედ გაკოტრდა, რომ ახლაც შურის თვალით უცქერიან და სალაპარაკოდ აქვთ ჩვენებსაო. „ტყუილ-კოტრიანცობის" ნიჭისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის-კი ძრიელ მესიამოვნა, რომ იმერნი ასეთნი ვაჟ-კაცნი ყოფილან მრეწველობისა და ვაჭრობის ველზედ...

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად თქმულა, რომ რაინდული ცხოვრება და მუდმივი ბრძოლა ხელს არ უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის აღორძინებას და ქართველსაც ამიტომ არ გამოჰყვა ამ საქმის უნარიო. მაგრამ რაინდობა, ფეოდალობა, ლაშქრობა და სისხლის ღვრა ხომ ლიხთა იქით ქვეყანასაც არ აკლდა. მაშ რად იჩენს ასეთს სამრეწველო და სავაჭრო უნარს იმერი?—აქ მთავარი მიზეზი სხვა უნდა იყვეს. მთელი ევროპის პრესსა სულ იმას ჰყვიროდა და გაიძახოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადვილი გულს მიხეთქავს, — არ მემეტები გაციებულს სამარეში დასამარხავად და ნათესაურის წრეში გეკითხები: რათა ჰქენი ასეთი საქმე, რად დაგვაღონე? რათა შრომობდი ისე თავგანწირულად? რად დაივიწყე შენი მოხუცებული დედა, რომელიც სცხოვრობდა მარტო შენით; რომელიც სუნთქავდა მარტო შენით. როგორც უცოლშვილოს და ჯერ დაუბინავებელს, ის თავს გევლებოდა და შენ-კი ასე უცრად ხელიდგან გამოეკალე; წაართვი მას საყვარელი შვილი დიმიტრი და დასტოვე ოთხ კედელშუა მარტოდ მარტო! დედაშენს სხვა შვილებიც უყვარდნენ და უყვარან, სხვა შვილებისთვისაც შესტკივა გული, მაგრამ შენ, როგორც უმცროსს შვილს — დედა განსაკუთრებულ ყურადღებას გაქცევდა; შენზედ ჩასდიოდა და ამოსდიოდა მზე.

რა-დ დაადონე დანარჩენი ნათესავებიც, რომელნიც მწარედ თავს დაგქვითინებენ? რად დაადონე შენი პატივის მცემელი ტფილისის ქართველი საზოგადოება, რომელიც სწუხს, რომ ვერ დაუსწრო შენს დასაფლავებას და ვერ დაანახვა მრთელს ქვეყანას—რა კაცი იყავი და როგორი პატივისცემა შეგფეროდა...

რად დაადონე შენი მეზობლები, რომელნიც შენგან ყოველთვის დარიგებასა და ზნეობრივ დახმარებას მოელოდნენ?

აი, ჩვენო სიქადულო, ჩვენო დაუვიწყარო კარგო დიმიტრი, აი ამას გეკითხება ჩემი ნათესავური გრძნობა და სხვას არაფერს..

ასეთისავე გრძნობით გამსჭვალულნი არიან ის ნათესავ-მეგობრებ-ნაცნობები, რომელნიც შენ ეხლა გარს შემოგხვევიან და მწარედ დაგტირიან.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო, კეთილო დიმიტრი.

ვევედრნეთ, ძმანო ქრისტეანენო, გამჩენელს, რათა მან სული ახლად გარდაცვალებულის დიმიტრისა საყოფელსა მართალთასა დააწესოს, წიაღთა შინა აბრაამისთა განუსვენოს და ჩვენ შეგვიწყალნეს, ვითარცა სახიერ არს და კაცთ-მოყვარე. ამინ.

ჩვენებური ამბები

ს. კიკნაველეთი (იმერეთ). სოფელი კიკნაველეთი მდებარეობს დაბა ყვირილიდგან ათის ვერსის მანძილზედ, ორ პატარა მთებ შუა, მაღლობ ადგილზედ. სიგრძით ეს სოფელი თექვსმეტი ვერსი იქნება, სიგანით—ოთხი. ძველად ამ სოფლის მცხოვრებლებს მარტო კიკნაველიძეები შეადგენდნენ, შემდეგ სხვა გვარებიც დასახლდნენ და დღეს ამ სოფელში ირიცხება ორას ორმოც კომლამდე მცხოვრები, რომლებიც, განურჩევლად წოდებისა, ყველანი მიწის მუშაობას ეტანებიან. სოფ. კიკნაველეთი შემკულია კარგის ჰავითა და წყალით და ამასთანავე მოსავლიან ნიადაგით. ნამეტურ ეს სოფელი ნაქებია ღვინის მოსავლით. წელს აქეთ, როგორც საზოგადოთ იმერეთში, ძლიერ ცუდი ამინდები იყო, რომელმაც ერთობ შეუშალა ხელი ყურძნის მომწიფებას, როგორც იყო სიმინდი და სხვა ჰირნახული მოიწიფა, მაგრამ ყურძენი კარგად არ დამწიფდა და ჯერ კიდევ უმრავლესობას მოუკრეფელი აქვს. თუ ამინდებმა ხელი შეუწყო, რთველს ამ თვის დამლევს შეუდგებიან.

ჩვენი სოფელი სწავლა-განათლებით ძლიერ დაქვეითებულია. თუმცა აქ, რვა წელიწადი იქნება, სამრევლო სკოლა არსებობს, მაგრამ მარტო სკოლამ რა უნდა გააკეთოს, თუ კარგი ხელმძღვანელი არა ჰყავს. ამას ზედ დავუმატოთ ის გარემოება, რომ ისე წელიწადი არ გაივლიდა, ოთხი-ხუთი მასწავლებელი არ გამოცვლილიყო. თვით მცხოვრებლები ამ სკოლის შესახებ ასე ამბობენ: „რვა წელიწადია, ბატონო, სკოლა არსებობს და, გარდა ერთი მასწავლებლისა, რომელმაც ორი წელიწადი დაჰყო ჩვენს სოფელში და სარგებლობაც მოგვიტანა, სხვას არავის ორი-სამი თვე არ მოუცდია და რა ნაყოფი უნდა მოეტანა. გარდა ამისა, ისეთი მასწავლებელი არავინ მოგვივიდა, რომ ნამდვილ კეთილ-მოღვაწე ადამიანი ყოფილიყო და ეზრუნა სოფლის კეთილდღეობისათვისო; ხოლო ისეთები მოდიოდნენ, რომელთაც უფრო თავიანთი პირადი ანგარიშები აწუხებდათ: ზოგს სალდათობიდგან თავის დახსნა უნდოდა, ზოგს დიაკვნობა და ზოგს კიდევ სხვა რამ, თორემ ჩვენის შვილების სწავლებისთვის თავს არავინ იცხელებდაო. სწავლის ფულს ვიხდიდით, ხარჯს ვწევდით, და ჩვენმა შვილებმა „ია" და „თითის" მეტი ვერაფერი ისწავლესო. დღეს ჩვენც გული გაგვიტყდა და ბავშვებს სკოლაში აღარა ვგზავნითო". მართლაც, ამ თვის პირველ რიცხვებში ამ სკოლაში ოთხის მეტი ბავშვი არ მოიპოვებოდა, და დღეს არც ისინი დაიარებიან სკოლაში.

პირველ ამ თვიდგან ს. კიკნაველეთში დაარსდა სამინისტრო სასწავლებელი. დამაარსებელი ამ სკოლისა არის ამავე სოფლის მცხოვრები ბ-ნი ყ. ს. კიკნაველიძე. ბ-ნი ყ. ს. კიკნაველიძე სამი წელიწადია სცდილობდა ამ საქმის განხორციელებას, მაგრამ, რადგან სხვა არავინ ჰყავდა შემწე და სოფელიც შეშინებული იყო პირველ სკოლის მაგალითით, ყველა უარს ამბობდა სამინისტრო სკოლის დაარსებაზედ, სხვა წყაროს ეძებდ, რომ საქმე სისრულეში მოეყვანა. ბოლოს თვითონ ყ. კიკნაველიძემ იდო თავს ხარჯი და გადასწყვიტა სკოლის დაარსება. მისცა თხოვნა სამოსწავლო მთავრობას და აღუთქვა: ვსწირავ ადგილს, ღირებულს ათას მანეთად, ავაგებ ისეთ შენობას, რომ ორკლასიან სკოლისთვის გამოდგეს; სკოლის მოწყობასაც მე ვკისრულობო; ამას გარდა განათება, შეშა და მოსამსახურე ჩემი იყოსო. მხოლოდ მასწავლებლებს დაენიშნოს ხაზინიდგან ჯამაგირიო. სამოსწავლო მთავრობამ შეიწყნარა ყ. ს. კიკნაველიძის თხოვნა და დაუნიშნა ერთ მასწავლებელს ჯამაგირად 360 მანეთი და შემდეგისათვისაც აღუთქვა ერთის მასწავლებლის ჯამაგირი. როგორც დამაარსებელი, ისე უმრავლესობა საზოგადოებისა აღტაცებით მიეგებნენ ამ საქმეს, მაგრამ გამოჩნდნენ იმისთანა კაცები, რომელთაც დაიწყეს ლაპარაკი და სხვების ჩაგონება: „როგორ შეიძლება, ჩვენ არაფერი გადაგვხდეს; უთუოდ გვატყუებენ და, როდესაც ბავშვებს სკოლაში შევიყვანთ, ყოველ ხარჯს ჩვენ მოგვახვევენო. მაგრამ ყველა ეს გაუცრუვდათ: ბ-ნ ყ. ს. კიკნაველიძემ ფლის საშუალო ადგილას იქირავა თავის ხარჯით შენობა, თავის ხარჯითვე მომოაწყო და შეიძინა ყოველივე სკოლისთვის საჭირო ავეჯეულობა და ხალხს გამოუცხადა: მასწავლებელი დაგვენიშნა, რომელსაც ჯამაგირი ხაზინიდგან მიეცემაო, სკოლაც მზად გვაქვს, თქვენ არაფერი არ გადახდებათ, სხვას ყურს ნუ უგდებთ და ბავშვები შემოიყვანეთ სკოლაშიო. შემდეგ ადგილობრივმა მამასახლისმა კ. კელენჯერიძემ წაუკითხა საზოგადოებას სახალხო სკოლების, და ბოქაულის მოწერილობანი, რომლითაც ატყობინებდნენ საზოგადოებას, თქვენ არაფერი გადაგხდებათო. ხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა ყ. ს. კიკნაველიძეს და ორმოცამდე ბავშვმა მოიყარა თავი სკოლაში. ეს საქმე ყ. ს. კიკნაველიძეს უჯდება არა ნაკლებ ოთხი ათას მანეთისა ერთხანად და ყოველ წელს 120 მან. ეს პირველი მაგალითია, რომ სოფელს ამისთანა შემწე კაცი აღმოსჩენოდეს. ბ-ნი ყ. ს. კიკნაველიძე იმასაც კი სცდილობს, რომ ღარიბის შვილებს და ობლებს, რომელთაც სასწავლო ნივთების ყიდვა არ შეუძლიათ, შემწეობა აღმოუჩინოს და რამდენსამე კიდევაც დაეხმარა. ეხლა ის უკვე შეუდგა სკოლის შენობისთვის მასალის დამზადებას და ამ ორს თვეში სკოლის შენობაც მზად გვექნება.

ბ-ნი ყ. ს. კიკნაველიძე ერთი ღარიბი აზნაურიშვილია და არც დიდი განათლება აქვს მიღებული, ხოლო იმას კარგად აქვს შეგნებული სწავლის საჭიროება ხალხისათვის და ამიტომ იდო თავს ამისთანა მძიმე ტვირთი.

კაკო.

კავკასია

14 ოკტომბერს დაიწყო პეტერბურგში კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს ისეთი წესები, რომ მათის განხორციელებით შეიძლებოდეს ნავთის შადრევნების ცეცხლის მოკიდების აცილება

რუსეთი

30 მილიონამდე ფუთი ხორბალია მოგროვილი ოდესაში და ელის სამზღვარგარედ გაყიდვას.

— ფინლიანდიის აღმოსავლეთად შიმშილობაა მოსალოდნელი, რადგან მოსავალი მცირე ყოფილა ავდრიანობის გამო.

— კიშინიოვიდამ კიდევ მიდიან ურიები ევროპასა და ამერიკაში. გადასახლებულნი უფრო ღარიბი ხალხიაო.

— მთავარ-სამმართველოს სავაჭრო მეზღვაურობისას შეუდგენია ვრცელი პროექტი საკომერციო ნავ-სადგურთა და ნავ-საყუდელთა გაფართოვებისა და მოწყობისა. ამ პროექტის განსახორციელებლად სთხოვენ მთავრობას 150 მილიონს შვიდის წლის განმავლობაში.

— 17 ოკტომბერს 1900 წელს დაარსდა პეტერბურგში საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს საქმე და საშრომი გაუჩინოს შეუძლებელ ქალებს სახლში და მით ოჯახსა და ქმარ-შვილს არ მოაშორონ დედა და დიასახლისი. სამს წელიწადში 501 ადამიანს უთხოვნია ამისთანა საშრომი, უფრო გადასაწერი, თარგმანი უცხო ენებიდან რუსულად და საკერავი. საკერავის მიცემით უფრო მეტნი დაუკმაყოფილებიათ მთხოვნელთა შორის.

— 22 ოკტომბრიდან დაიწყო კრებანი ქალთა პირველ სახელოვნობო ამხანაგობისა.

— პეტერბურგის ქალაქის მკურნალებს უთხოვნიათ, რომ ვიზიტის ფასი მოემატოთ: ღამე ეძლიოთ 1 მან. და დღისით —60 კაპ.

— 1904 წელს ვაშინგტონში მსოფლიო სარკინის გზო კონგრესი იქნება მოწოდებული.

— პუშკინის პრემიის მისაღებად მეცნიერებათა აკადემიას მიუვიდა 42 თხზულება. მათ შორის აღმოჩნდა უფრო საყურადღებო 12 თხზულება. სრულის ჯილდოს ღირსი — 1,000 მ.—არც ერთი არ იქმნა ცნობილი. ნახევარ-ნახევარი მიუსაჯეს: პ. ვეინბერგს შილლერის დრამის „პიკკოლომინის" თარგმანისათვის და ჰენრიხ ჰეინეს თხზულებათა სრულის თარგმანის რედაქციისათვის და ბუნინს — თავის ლექსთა კრებულისა და პოემის „სიმღერა ჰაიავათაზე"-ის ლექსად გადათარგმნისათვის. საპატიო ქება ეძლევა სხვათა შორის ჩვენს ნაცნობს ი. ნ. თხორჟევსკის, რომელსაც გადაუთარგნია ივ ჰიუოს ლექსები.

— განზრახვა აქვთ შესცვალონ წესი ბანკებში დაგირავებულ მამულების საჯარო გაყიდვისა. უნდათ, რომ ვაჭრობას უფრო მეტი ხალხი დაესწროს ხოლმე. ეს საჭიროა როგორც ბანკებისა, ისე თვით მამულების პატრონთა ინტერესებისათვისაო. უნდათ აგრეთვე, მამულის გაყიდვის ნაცვლად, შემოიღონ დაწესება მამულის გამგეობისა მაშინ, როცა მამულის შემოსავალს შეუძლიან რამდენისამე წლის განმავლობაში გადაიხადოს მისი ვალი.

— ვიატკის საგუბერნიო ერობას უარი ეთქვა, ვერ გაპატივებთ ბაჟს, რომელიც გადასახდელია სამზღვარ-გარეთიდან სამეურნეო იარაღების შემოტანისათვისაო.

— კოსტრომის გუბერნიის ზოგიერთს მაზრაში ძრიელ ცუდი მოსავალი ყოფილა. ნავლებად არის საკვები საქონლისაცაო. თესლიც არავის დარჩება, რომ გაზაფხულის ნახნავები დასთესონო.

— გამოვიდა ცირკულიარული განკარგულება, რომლითაც აღკრძალულ იქმნა, რომ სათადარიგო ჯარის ოფიცრებს ეძლეოდეთ სამზღვარ-გარეთის პასპორტები.

— გამოვიდა საყურადღებო წიგნი შესანიშნავის ორიენტალისტის თ. ნიოლდეკესი: სემიტური ენები და ერნი—**Семитскіе языки и народы.** წიგნში განმარტებულია, სად იყო პირველი სამშობლო ინდო-ევროპიელთა, როგორ შესდგა დაბადება, რა ენაზე ლაპარაკობდა იესო ქრისტე და სხვ.

უცხოეთი

იაპონია. რუსეთის ელჩს ბარონ როზენსა და იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ბარონ კომურას მეხუთეჯერ ჰქონდათ თათბირი, მაგრამ მოლაპარაკება საიდუმლოდ ხდებოდა. გაზ. „ტაიმს"-ს ტოკიოდგან ატყობინებენ ამის შესახებ:

საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ იაპონია-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობა თანდათან სცხრება და ახლო მომავალში მაინც აღარ უნდა გვქონდეს ომიანობის შიშიო.

რაიცა შეეხება იმ უსიამოვნებას, რომ იაპონიის მდივანი შეურაცხჰყვეს რუსებმა (ნება არ მისცეს იონამპოს ნავთსადგურზე გადმოსვლისა), სეულში მყოფმა რუსეთის ელჩმა ბ. პავლოვმა, არა თუ უკანონოდ სცნო რუსების საქციელი, აღუთქვა კიდეც,—ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ამგვარი შემთხვევა არ განმეორდესო.

ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან, რუსები იონამპოს ამაგრებენო; შეიძლება ამ გარემოებამ ისევ ასწეწ-დასწეწოს საქმეები, რადგან, მოპირდაპირეთა აზრით, რუსების მოქმედება იმას მოასწავებს, რომ კორეის სამფლობელოში ფეხის მოკიდებას აპირობენო. 23 ოკტომბერს (ახ. სტ.) ნი-იუს მივიდა 40 რაზმი რუსის მხედრობისა და იქიდგან სადღაც გაემგზავრაო. გარდა ამისა, ტიუმენზედ გადავიდა 200 რაზმი რუსის ჯარისა და კორეის სამფლობელოში დაბანაკდაო.

კორეია. გაზ. „იაპ. ვ. მ."-ს მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ პჰიონ-იაპონიის პროვინციაში რუსები ახალ საქმეს იწყებენ—უკვამლო ქვანახშირის შემუშავებას აპირობენო.

ჩემულპოს უკვე მიუტანიათ 50 მანქანა, რომელთაც 4 რუსის ზედამხედველობით მდ. ტადონჰანის შესართავისაკენ ჰგზავნიან. ნახშირის შემუშავების ნება-რთვა კორეის მთავრობას მიუცია ფრანგ ინჟინერისათვის, რომელსაც პირობა დაუდვია ყოველ 30,000 ტონ გამოღებულ ქვანახშირში 5,000 იენი უზღოს მთავრობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიამ, ინგლისმა და ამერიკამ მოითხოვეს, — პჰიონ-იაპონიის პროვინციას ხელს ნურავინ შეახებსო, რადგან უნდოდათ რუსეთის მრეწველობის განვითარებისათვის შეეშალათ ხელიო.

მილიტარიზმი ძირს დაამხობს და ბოლოს მოუღებს გერმანიასაო. მაგრამ? —აბა მიბძანდით და დააკვირდით: გერმანიის მრეწველობა და ვაჭრობა დღითი-დღე საოცრად იზრდება და იქნება მალე მთელ ხმელეთზედაც გაბატონდეს. ჯერ ახლავე შიშისა და ელდისაგან აღარ სძინავს ინგლისს, თუმცა იქ მილიტრიზმი სულითა და გულით სძულთ. როცა ხალხს რისამე ზეგარდმო ნიჭი ჰქონია, იგი თავისას გაიტანს, იმას ვერა დაიჭერს-რა. იმერსაც ვერაფერი დაიჭერს და, ჩემის ნაცნობის სიტყვისა არ იყვეს, მომავალი იმისი იქმნება...

წინათაც მენახა იმერეთი, მაგრამ ჩვენში რომ იტყვიან, ,,მუშტრის თვალით'' არ დავკვირვებივარ. გამოვცილდით თუ არა კორტოხს და ხვრელში გამოვძვერით, გაფაციცებით დავუწყე ცქერა ბუნებასაც და ადამიანსაც. ნაცნობის სომხის ნათქვამი ჩემს სულსა და გულს ღრმად მოხვდა და მეტად მინდოდა დავრწმუნებულვიყავ,—მომავალი მართლა იმერისა არის თუ არა. რკინის გზით მოგზაური, აბა, იქ როგორ გასინჯავს და დაათვალიერებს ბუნებას და ცხოვრებას, რომ ,,სინტეზი'' იპოვოს და დედა-ძარღვს ხელი ჩასჭიდოს, მაგრამ მაინც გაფთრებული ცნობის მოყვარეობა შორს სცემს და მეც ამის იმედი მქონდა. დიაღ, პირი ვქენით ამერეთისკენ და სურათიც სხვა გამოჩნდა.

აქამომდე ქართლი გარეგნობით ისევ ოხრებული და მოუწყობელია. მეტადრე რკინის გზის პირად მდებარე სოფლები მურვან ყრუს დროის სანახავს წარმოადგენენ. აიღეთ თუნდ სოფელი ავჭალა. სწორედ გეთაკილებათ, სირცხვილით იწვით, როცა ტფილისიდგან გამოდიხართ და პირველადვე მოხვალთ ასეთ გავერანებულ სადგურზედ, როგორიც ავჭალაა. თვით მცხეთა, ეს აკვანი ჩვენის ისტორიისა და კულტურისა, რაღას წარმოადგენს!?. ერთის სიტყვით, ქართლის დედა-ქალაქიდან დაწყებული ვიდრე სურამის უღელ-ტეხილამდე, სანუგეშო და სასიამოვნო მაგოდენი არაფერია. არ ვიცით, მერმისი რას მოიტანს, მაგრამ ახლა-კი ქართლელისთვის ,,კულტურით'' თავის მოტანა ცალიერი ბაქიობა იქმნებოდა და სხვა არაფერი. დიაღ, ბატონებო, ზანტსა და მოუხეშავს ქართლელს იმოდენი შნო და ღონარიც-კი არა აქვს, რომ ქვა ქვაზედ დასდოს და დანგრეული სოფელი ააშენოს. აბა, ახლა დააცქერდით ამ მიწურ სახლებს, რომლებიც ნადირის ბუნაგს უფრო მიაგვანან! მთელის ასის ვერსის და უფრო მეტს მანძილზე, მტკვრის პირად, ქართლელის „კულტურულ მარჯვენას" არა გაუკეთებია-რა, თითქო დამბლა დასცემიაო... მაგალითებრ, აქ ბუნება ხელს უწყობს, ბაღოსნობა მაინც აღორძინებულიყო, მაგრამ აქამომდე რკინის გზის სადგურებზე მაჟალო ვაშლს და ტყის პანტას დარჩენიათ ბაზარი და მოედანი! თავი მოგვაქვს ბუნების სიუხვითა და სიმდიდრით და ვერაფერი თვალსაჩინო და მოსაწონი-კი ვერ შეგვიძლიან გამოვიტანოთ!..

პირველ შეხედვაზედვე იმერის სახლსა და კარს უფრო ატყვია „კულტურული ხელი", იმერს უფრო მეტი ამჩნევია ნაყოფიერის შრომისა და გარჯის მადლი. ვაგონიდანვე მგზავრის ყურადღებას იპყრობს აქაურის სახლ-კარის სისუფთავე და სილამაზე. კოპწია და შნოიანი ხის სახლი თვისის ფართო და მოკრიალებულ ეზოთი სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. ასეთს სახლ-კარს ბევრი ევროპიელიც არ ითაკილებდა თავისს სოფელში. იმერს ცოტა აქვს, მაგრამ რაც აქვს, იმის მოვლა და მოხმარება მადლიანად იცის. აიღეთ თუნდ სიმინდის მოვლა. მოგეხსენებათ, რომ იმერს სიმინდი უფრო მოჰყავს. აბა, ახლა ჰნახეთ, რანაირად უვლის ამ მცენარეს! თავს ისრე ევლება, თითქო არშიყი ვაჟკაცი თავისს სატრფოსაო. მართლაც და, იმერლისთანა სიმინდის მოვლა ევროპაშიაც არ შეიძლება. სიმინდს ბევრს სთესენ ვაკე შვეიცარიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში, მაგრამ იქაური შემუშავება ამ მცენარისა დაშორებით დაბლა სდგას იმერეთისაზე. სქლად დათესვის გარდა, იქაურებს არც სხვაფრივ სცოდნიათ ხეირიანად სიმინდის მოვლა. მაგალითებრ, როგორც ეტყობა, თავისს დროზე ნათესს არ სთოხნიან. უეჭველია, თქვენ ამ ამბავს საეჭვოდ დაიჭერთ, მაგრამ ნამდვილად-კი ასეა.

ჰო, იქას ვამბობდი, რომ იმერს უფრო მეტი კულტურული მისწრაფება აქვს. იქნება ძველად აღმოსავლეთიდან იფინებოდა ნათელი, მაგრამ ახლა-კი ეს ნათელი რომ დასავლეთიდან იფინება, საქართველოში მაინც, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. მომავალი იმერლებისაა, იმეორებდა ჩემი ნაცნობი სომეხი და მეც ვრწმუნდებოდი, რომ ის მართალს ამბობდა.

ამერისა და იმერის ბუნება სულ სხვა და სხვაა. აბა, კარგად დააკვირდი იქაურს მკვიდრს და წარმოიდგინე, რაც წინად გინახავს და შეგინიშნია...

მართლაც და, ქართლელსა და იმერელს შორის ფსიხოლოგიურად არსებითი განსხვავებაა. მე რომ მკითხოთ, იმერელი სულიერად და ზნეობრივად სულ სხვაფრივ არის აგებული, ვიდრე ქართლელი. იქმნება „პარადოქსად" ჩამომართვათ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ იმერელი სულითა და გულით და გრძნობით უფრო მწყობრად შეზავებულია. ქართლელი უფრო მშრალი ლოღიკოსია და მეტად ცოტა აბადია გრძნობა. ქართლელი უფრო ფიქრობს, ვიდრე გრძნობს. იმის აზრსა და გრძნობას შორის თითქო კავშირი არც-კი არსებობსო. ხოლო იმერლის აზრი და გრძნობა, მისი თავი და გული თითქმის თანასწორად მოქმედებენ. სწორედ ამ ფსიხოლოგიურს ბუნებაშია მიზეზი, რომ იმერი ასე ცქვიტი და გამჭრიახია. ქართლელს გრძნობა აკლია და მისი უბედურებაც ეს არის. ამ გრძნობის სიღატაკის ბრალია, რომ ქართლელი იმერს ჩამორჩა. მარტო „ტვინის ძალითა" და აზრით ქართლელი ვერას გააწყობს და, თუ როგორმე არ გადახალისდა, ბრძოლას ვერ გაუძლებს და გაირიყება..

აწინდელ კულტურულ ბრძოლისთვის სწორედ იმერელია შესაფერად შეიარაღებული. საკვირველ აზრის სიფხიზლესთან საოცარი ჟინიც მოეპოვება. მაინც ყოველთვის ჟინი და აღფრთოვანება ამშვენებდა იმერეთის ისტორიას და ცხოვრებას. გადაფურცლეთ ქართლის ცხოვრება და დარწმუნდებით, რომ ეს ასე იყო. ქართლელი ზოგ ნაკლსა სდებს იმერის ზნესა და ხასიათს. ყველა ეს შეიძლება მართალი იყვეს, მაგრამ მომავალი მაინც იმერისაა, რადგანაც იმის ზნე უფრო მდიდარი და რთულია. ისტორიას ზნე ჰქმნისო და თუნდაც ზნეს სხვა-და-სხვა წუნი ჰქონდეს, მაინც ზნით მდიდრისა არის ბურთი და მოედანი... სწორედ ეს მდიდარი ზნე—ეს ჟინი და გატაცება, ეს კეთილშობილური თავ-მოწონება და ჯიბრი, ეს მედგარი შრომის მოყვარეობა და ყოველგვარი მოხერხება, რომლითაც ასე შემკულია იმერი, ადარდებდა ჩემს ნაცნობ სომეხს და აჟინებით ათქმევინებდა: „მომავალი არც ჩვენია და არც თქვენი, მომავალი იმერლებისაო"... ყველა ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ რად ეგონა, ვითომ ამერი და იმერი ერთნი არ იყვნენ და მე არ მესიამოვნებოდა, რომ მომავალი იმერისაა და არა სხვისა?!.

P—s

გაზ. „ჟ. ს.“-ი ხელახლად დაჟინებით თხოულობს, — იაპონიის მთავრობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ სეულ-იიჯიის რკინის გზის გაყვანის კონცესია ხელში ჩაიგდოსო.

გაზ. „ასაჰი“-ს დეპეშა მიუღია სეულიდგან, — იონ-ჩონას მახლობლად, გორაზე, ვიღაც ოთხმა უცნობმა რუსმა ტყე გასჩეხეს და სახლი აიშენესო. ადგილობრივ მთავრობისათვის განუცხადებიათ, — ჩვენ იონამპოს კონცესიის წევრნი ვართ და მის საზღვრებს არ გავსცილებივართო. მაგრამ პო-იონი და იონამპო სულ სხვა-და-სხვა ადგილებია, და კორეის მთავრობამ სამართლიანად განაცხადა წინააღმდეგობა რუსების აქ დასახლების გამოო. რადგან რუსებმა უყურადღებოდ დასტოვეს მათი პროტესტი, კორეის მოხელეებმა გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობეს ეს ამბავი. სამინისტროს შეკითხვაზედ რუსეთის ელჩმა მუქარით უპასუხა, — თუ დაუყოვნებლივ სისრულეში არ მოიყვანეთ შეთანხმება იონამპოს შესახებ, რუსეთი პირდაპირ იმოქმედებს იალუზე და აღარც კი შეეკითხება სამინისტროს, რადგან 1896 წლის შეთანხმება სრულს უფლებას გვაძლევს ასე მოვიქცეთო. გაზ. «იაპ. ვ. მ.»-ი შენიშნავს, — ეს შეთანხმება არ ყოფილა გამომჟღავნებული და ამიტომ ვერას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა უპირატესობა ჰქონდა რუსეთს მინიჭებულიო“.

თეატრი და ხელოვნება

რუსული ოპერა.

კომიკურ ოპერათა შორის როსინის „სევილიელ დალაქს“ ტყუილად არ უჭირავს პირველი ადგილი. თუ რომ ხმათა და ჰანგთა შეხამებით შესაძლებელია ყველანაირის გრძნობის გამოხატვა, მაშინ სიცოცხლის ცხოველმყოფელობა და მხიარულების აღმძრველი იუმორი ისე არსად არ მეტყველებს, როგორაც „სევილიელ დალაქში“. ამასთანავე, რაღაც გამოურკვეველი სიფაქიზე, კოპწია სიმალხაზე, რომელიც ღიმილს არ გაშორებს ბაგეთაგან და საამურად ულიტინებს კაცის ნერვებს, თანა სდევს ამ მადლიანს ნაწარმოებს და ვერსად ვერ შეხვდებით ისეთს ადგილს, სადაც თავაწყვეტილი ოპერეტიული ჰანგი შეიჭრებოდეს და დაარღვევდეს კმაყოფილების აღმძვრელს მელოდიას.

მრავალფეროვანნი და მრავალგრეხილოვანნი პარტიები ამ ოპერისა საჭიროებს, რომ მათ აღმასრულებელთ ჰქონდეთ ტკბილი და მოქნილ-შემუშავებული ხმები, განსაკუთრებით სოპრანოსა და ტენორს.

ქ-ნი კარტავინა უძლურია დასძლიოს სიძნელე როზინას პარტიისა, რადგანაც მისი დაბალი და საშუალო ფარდებში ხმოვანებას მოკლებული ამოძახილი და მაღალ ფარდებში-კი მძაფრი, ძაფივით გაძაბული ხმა ვერა მგზნებარებს ბურღივით მბრუნავ ჰანგებში. ამის გამო მის მიერ გაპიროვნებული როზინა როდი იყო მომხიბლავი და სმენის დამატყვევებელი.

ბ-ნ რაისკის მეტად ტკბილი ხმა აქვს, მოარაკრაკე და ალმფივას პარტიის ეს ხმა სრულიად შეესაბამება. მხოლოდ ამ მომღერალს ერთი ნაკლულევანება სჭირს: ძალიან უყვარს ხმა-მიბნედვით სიმღერა და ამის გამო მისი ისედაც ძლიერებას მოკლებული ხმა ადგილ-ადგილ არ ისმოდა, განსაკუთრებით ანსამბლებში. საერთოდ-კი მან საკმაოდ ასიამოვნა საზოგადოება, მეტადრე „საცაა აღმოსავლეთი“-ს ჰანგის თქმით.

შეუდარებელი რამ იყო ბ-ნი სანგურსკი დონ-ბაზილიოს პარტიაში. ისეთის ძლიერის, ამასთანავე ბუნებრივის კომიზმით გამსჭვალა, როგორც სასიმღერო ჰანგები, ისე თვით გარეგნული გადმოცემა დონ-ბაზილიოს პარტიისა, რომ საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა და თავ-დაუჭერელი სიცილი გაისმოდა დარბაზში. შესანიშნავის ცხოველ-მეტყველებით სთქვა მან გენიოსური ჰანგი „რა არს ცილის წამება“, რითაც თვალი და ყური მსმენელისა თანასწორად დაატყვევა.

ბ-ნი გლადკოვი მოხდენილი ფიგარო.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ოკდომბერი

ბელგრადი. საზღვარ-გარედ გავრცელებული ხმები ოფიცრების დაპატიმრებაზედ ბელგრადში და სხვა ქალაქებში, აგრედვე პროკლამაციის დაჭერის გამო, რომელშიაც პეტრე მეფეს ბრალსა სდებენ, რომ იმის მიზეზით მოხდა მეფე ალექსანდრეს მოკვლა, სრულიად მოგონილია.

ნიუ-იორკი. პანამიდან იტყობინებიან, რომ კოლუმბიის გემმა „ბოგოტამ“ ულტიმატუმი გაუგზავნა აჯანყებულებს კოლუმბიის მთავრობის კვლავ აღსადგენელად. გემმა პასუხს არ მოუცადა და ზარბაზნები დაუშინა ნავთ სადგურებსა და ქალაქსა; მეორე მხარემაც პასუხი გასცა და „ბოგოტამ“ ზღვას შეაფარა თავი.

დარმშტადტი. შუადღისას იმპერატორი ვილჰელმი გაემართა ვისბადენიდან ეგელსბახს, საცა ხელმწიფე იმპერატორი მიეგება. გულითადის მისალმების შემდეგ, მონარქნი ეტლით წაბრძანდნენ ვოლფსგარტენს, საცა იმპერატორს ვილჰელმს მიეგება ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. სანადირო სასახლეში საუზმე მიირთვეს და შემდეგ გაემართნენ სეფე-მატარებლით დარმშტადტს, საცა სადღესასწაულო სადილი იყო მომზადებული.

შერლოტენბურგი. დაასაფლავეს მომსენი. იმპერატორის მინდობილობით კრონპრინცმა გვირგვინით შეამკო მისი საფლავი.

ბოგოტა. კონგრესი გათავდა ისე, რომ მსჯელობა არც-კი დაუწყვია პანამის არხის გაჭრის თაობაზედ.

სტამბოლი. საფრანგეთმა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის აზრსა და მოქმედებას მხარი დაუჭირა თავისის ელჩის პირით. ამნაირი თანხმობით მოქმედება შედეგია გრაფის ლამზდორფის პარიჟში მოგზაურობისა. აქამდე საფრანგეთის პოლიტიკოსები მეტად ფრთხილად ექცეოდნენ რეფორმების პროგრამას, რომელიც მიურცშტეგში შეიმუშავეს.

ნიუ-იორკი. მთავრობის საწყობნი მდ. გუდსონზედ, პიკოკილლის მახლობლად, რომლებშიაც ასაფეთქებელი ნივთიერებანი იყო, ააფეთქეს. მოკლულია 16 კაცი.

24 ოკდომბერი.

ბერლინი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარს რიხტჰოფენს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, ხოლო მის ამხანაგს — ორდენი წმ. ანნასი პირველი ხარისხისა.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ ერთის კვირით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა ბებია ქალს თომინისას იმის გამო, რომ არ მიიღო მშობიარე ქალი, რის გამოც ქალმა ქუჩაში მოილოგინა.

კიევი. შესდგა კრება სლავიანთა საზოგადოებისა. საბჭომ დაადგინა გაუგზავნოს ხელუხლებელ ფონდიდან 1,000 მანათი სოფიის სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ტანჯულ მოძმე სლავიანთა დასახმარებლად.

სტამბოლი. პორტას პასუხი იუწყება, რომ მემორანდუმი უკვე მივიღეთ რეფორმების შესახებ და ადასტურებს, რომ ნაწილი რეფორმებისა უკვე აღსრულებაშია მოყვანილიო. რეფორმების სრულს განხორციელებას ხელს უშლის კომიტეტების მოქმედებაო. პორტა პასუხს იძლევა არა მუხლ-მუხლობით, მდუმარებს უმთავრეს მუხლთა შესახებ და გარკვევით იძლევა პასუხს მხოლოდ ორის საგნის გამო, გავანთავისუფლებ მაკედონიის მკვიდრთ ხარჯის გარდახდისაგან და ილავის ბატალიონების სამარ ფეხზე დაყენებას შევწყვეტო. პორტას პასუხი დამაკმაყოფილებელი არ არის სრულიადაო, თუმცა არც უარის თქმასა ჰგავსო. ეტყობა, პორტას უნდა ზოგიერთი საგანი გადუწყვეტელი დასტოვოს, რათა ღონისძიება ჰქონდეს, კიდევ იქონიოს მსჯელობა მათ შესახებ. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებმა პორტას პასუხი გაუგზავნეს თავიანთ მთავრობათა და ელიან ახალს ინსტრუქციებს.

დარმშტადტი. ბიულოვმა გრაფ ლამზდორფისას ისაუზმა და შემდეგ თათბირი ჰქონდათ. საღამოს ვოლფსგარტენში სადღესასწაულო ნადიმი გამართეს. ვილჰელმ იმპერატორი ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე დედოფლის შუა დაბრძანდა.

ეჰელსბაჰი. ვილჰელმ იმპერატორი ხელმწიფე იმპერატორთან გულითად გამოთხოვების შემდეგ ვილდპარკს წაბრძანდა.

სოფია. უმაღლეს წრეებში უარ-ჰყოფენ ლონდონის კარზე მყოფ ბულგარიის აგენტის განცხადებას, ომიანობა აუცილებელიაო და სასარგებლოც იქნება ჩვენის ქვეყნისათვის, რომელიც ამ ჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. მისი რწმუნება, ბულგარიაში 150,000 ლტოლვილიაო, მართალი არაა. აქ მხოლოდ 30,000-მდე იქნება ლტოლვილი. — ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდად აალელვა მაკედონელნი იმ გარემოებამ, რომ პორტა პირდაპირ პასუხს არ იძლევა ავსტრია-უნგრეთის ნოტაზე.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37{,}32^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,60
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$992^{1}/_{2}$
4% სახ. სესხი 1902 წ.	$90^{3}/_{4}$
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{1}/_{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	443 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$282^{3}/_{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^{1}/_{4}$ გაყ.
5% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9625 გაყ.
აქციები „ „ „	472
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	3850 გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა დაამხ.	$193^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზე და ტილგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ — 3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი — 4 მან, უვადოში — 3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი — 4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადებანი

GRAND PRIX
PARIS 1900

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°

„Царскій
Верескъ“

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევაო კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, ამრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ აყრდებენ იქიდგან. ფასი 60 კ. — 1 მ. 50 კ.

ინდოურის ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება სახლდთა გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაპრუჟული აქვს ნაპრალები და ნახვრეტები. ჩრჩილს სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). საშუალოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს ფასი 60 კაპ. — 1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—40)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ № 63.

შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი
4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.
XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ს ა წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვის ამხანაგობა** ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—30)

Доз. цензурою. Тифлисъ, 24 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.